მის: საქართველო, მცხეთა სოფ.ნავაზი ქ., N22; ტელ: +995 550000044; Lg.trans1@yahoo.com

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

N2209-01 **22.09.2023 წ.**

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ლგ ტრანს"-ის (ს/კ 405286159) მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზის ტერიტორიაზე მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მიმდებარედ დაგეგმილია 760 მსუბუქი და სატვირთო ავტომობილისთვის ავტოსადგომის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საპროექტო ავტოსადგომის მოწყობა დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 72.03.08.586 - 72827 მ², ს.კ. 72.03.08.629 - 60972 მ², ს.კ. 71.64.91.693 - 20000 მ²) ჯამური ფართით 153,799 მ².

პროექტის მიზანია ავტოსადგომის ტერიტორიაზე განხორციელდეს:

1. 15.37 ჰა. ფართობზე მოხდეს ავტოსადგომის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
2. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვისთვის გათვალისიწინებულია ნავთობდამჭერის და 13270 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა;
3. ავტოსადგომის ტერიტორიის მდ. არაგვის წყალდიდობისგან და ეროზიისგან დაცვის მიზნით, 1025 მეტრის სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა;
4. წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვის მიზნით, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, სადაც მოხდება გამწმენდი ნაგებობის და გაწმენდილი წყლებისთვის 2 X 200 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა.

წარმოდგენილი პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს **II დანართის 9.2. ქვეპუნქტის** შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)), **9.9 ქვეპუნქტის** შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია), **9.13 ქვეპუნქტის** შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა) და **10.6 ქვეპუნქტის** შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია), შესაბამისად ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება/ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

მის: საქართველო, მცხეთა სოფ.ნავაზი ქ., N22; ტელ: +995 550000044; Lg.trans1@yahoo.com

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

შპს „ლგ ტრანს"-ის დირექტორი

შორენა ნინიაშვილი

LG TRANS
GEORGIA "LG TRANS" LTD
405286159